სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7,826.74 მილიონ ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 75%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 22.7 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 10.7 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.902%-ს.

სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 73% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 47% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

საპროცენტო განაკვეთის ტიპი



სავალუტო სტრუქტურა



სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა - 2014 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი (ათასი)			საპროცენტო განაკვეთი	შეწონილი საპროცენტო განაკვეთი
		კრედიტის ვალუტაში	აშშ დოლარში	ლარში		
სახელმწიფო საგარეო ვალი			*4,199,798*	*7,826,743*		
მრავალმხრივი კრედიტორები			**2,955,565**	**5,507,991**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (WB - IDA)	SDR	724,369	1,049,473	1,955,798	0.75%	0.187%
		155,950	225,942	421,066	2.00%	0.108%
		6,846	9,919	18,484	2.15%	0.005%
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (WB - IBRD)	USD	215,296	215,296	401,226	0.43%	0.022%
		58,000	58,000	108,089	0.63%	0.009%
		10,000	10,000	18,636	0.79%	0.002%
		202,495	202,495	377,370	0.83%	0.040%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	15,721	22,777	42,447	0.75%	0.004%
		4,920	7,128	13,284	0.56%	0.001%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) PRGF	SDR	29,400	42,595	79,380	0.50%	0.005%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი IMF SBA	SDR	116,825	169,257	315,428	1.05%	0.042%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	224	272	507	1.17%	0.027%
		78,786	95,781	178,498		
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	211,331	306,178	570,593	1.00%	0.073%
		39,286	56,918	106,072	2.00%	0.027%
		19,162	27,762	51,737	1.60%	0.011%
		46,879	67,919	126,573	1.00%	0.016%
	USD	91,667	91,667	170,830	0.48%	0.010%
		12,837	12,837	23,924	0.58%	0.002%
		24,008	24,008	44,741	0.78%	0.004%
		16,000	16,000	29,818	0.68%	0.003%
		1,423	1,423	2,652	0.78%	0.000%
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	92,766	112,777	210,172	0.92%	0.025%
	EUR	40,000	48,628	90,624	0.99%	0.011%
	EUR	23,226	28,236	52,621	1.69%	0.011%
	EUR	20,000	24,314	45,312	1.94%	0.011%
	EUR	23,000	27,961	52,109	1.03%	0.007%
ორმხრივი კრედიტორები			**741,694**	**1,382,220**		
ავსტრია	EUR	10,930	13,288	24,763	1.00%	0.003%
აზერბაიჯანი	USD	11,512	11,512	21,454	3.00%	0.008%
თურქმენეთი	USD	211	211	393	4.00%	0.000%
თურქეთი	USD	22,023	22,023	41,043	3.00%	0.016%
ირანი	USD	8,965	8,965	16,707	3.00%	0.006%
რუსეთი	USD	93,932	93,932	175,051	4.00%	0.089%
სომხეთი	USD	13,502	13,502	25,162	3.00%	0.010%
უზბეკეთი	USD	269	269	502	3.00%	0.000%
უკრაინა	USD	246	246	458	3.00%	0.000%
ყაზახეთი	USD	27,774	27,774	51,760	4.00%	0.026%
ჩინეთი	CNY	24,000	3,870	7,213	0.00%	0.000%
გერმანია (KfW)	EUR	39,675	48,233	89,888	2.00%	0.023%
		68,182	82,890	154,473	6.06%	0.120%
		1,546	1,880	3,504	4.20%	0.002%
		134,200	163,149	304,044	0.75%	0.029%
იაპონია	JPY	3,508,056	29,300	54,603	2.30%	0.016%
		1,741,846	14,548	27,112	0.01%	0.000%
		11,179,065	93,369	174,002	0.65%	0.014%
		264,515	2,209	4,117	1.30%	0.001%
კუვეიტი	KWD	5,429	18,541	34,553	3.00%	0.013%
ნიდერლანდები	EUR	192	233	435	4.20%	0.000%
		1,121	1,363	2,540	5.10%	0.002%
აშშ	USD	7,644	7,644	14,245	2.25%	0.004%
		536	536	999	1.50%	0.000%
		9,954	9,954	18,551	2.50%	0.006%
		10,804	10,804	20,135	2.00%	0.005%
საფრანგეთი	EUR	19,985	24,296	45,278	1.10%	0.006%
		30,559	37,151	69,235	1.97%	0.017%
ფასიანი ქაღალდები			**500,000**	**931,800**		
ევროობლიგაცია 2021	USD	500,000	500,000	931,800	6.875%	0.818%
გარანტირებული კრედიტები			**2,539**	**4,732**		
გერმანია (KfW)	EUR	2,089	2,539	4,732	0.75%	0.000%
		საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი				**1.902%**

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 638,953 ათასი ლარი, საიდანაც 499,470 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 139,483 ათასი ლარი - პროცენტის თანხას:

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2014 წლისათვის

ათასი ლარი

კრედიტორები	ვალების დაფარვა	პროცენტი	სულ 2014
სულ	499,470	139,483	638,953
ავსტრია	-	256	256
კუვეიტი	3,776	1,105	4,881
იაპონია	4,465	2,195	6,660
გერმანია	31,636	16,290	47,926
აშშ	2,819	1,192	4,012
სომხეთი	1,708	766	2,474
აზერბაიჯანი	1,324	634	1,959
ირანი	1,058	496	1,554
ნიდერლანდები	260	164	424
რუსეთი	11,513	7,068	18,581
თურქეთი	2,516	1,313	3,828
უკრაინა	40	14	54
უზბეკეთი	43	16	59
საფრანგეთი	14,408	2,334	16,741
ჩინეთი	850	-	850
IDA	59,977	22,100	82,077
IBRD	2,467	4,363	6,830
IFAD	893	317	1,209
EBRD	17,348	2,943	20,291
EIB	1,900	3,665	5,565
ADB	14,508	7,280	21,788
IMF	325,960	4,746	330,706
ევრობონდები	-	60,225	60,225

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 12 თვიანზე 6.0%, 2 წლიანზე - 7.0%, 5 წლიანზე - 9.0%, 10 წლიანზე - 10.6.

სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 875.6 მილიონ ლარს (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 1 898.4 მლნ ლარი), აქედან 1 302.7 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 572.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

შენიშვნა: სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. "ისტორიულ ვალს". "ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი

სულ	**1,898,356**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**1,325,510**
12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები	394,200
2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	426,286
5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	390,024
10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	115,000
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	**572,846**
სახელმწიფო ობლიგაცია სებ-სთვის	440,846
სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	132,000

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშინაო ვალდებულებების კლებამ შეადგინა 338,337.3 ათასი ლარი, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვა - 303,337.3 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) - 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად. 2014 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ზრდა არის 876,152.9 ათასი ლარი. შესაბამისად, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 572,815.6 ათასი ლარის წმინდა ზრდას. აქედან, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2014 წელს დაგეგმილი 200 მლნ ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 172,835.1 ათასი ლარი შეადგინა. შედეგად, კომერციულ ბანკებს გაუჩნდათ გრძელვადიანი ფინანსური რესურსი ეკონომიკის დაკრედიტებისთვის.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ზემოხსენებული განკარგულების თანახმად, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვის უფლება მიეცათ საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკს, 2013 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საბანკო სექტორში თავიანთი სააქციო კაპიტალის წილის შესაბამისი ოდენობით.

ფასიანი ქაღალდები შეიძინა 12 კომერციულმა ბანკმა, რომელთა ლარში გაცემული საკრედიტო პორტფელის წილი ემისიის განხორციელების პერიოდისათვის მთლიანი საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის დაახლოებით 94%-ს შეადგენდა. აუთვისებელი ლიმიტი N176 განკარგულების შესაბამისად გაუქმდა.

2014 წლის ბოლოსთვის სახელმწიფო ვალის მოცულობა წინასწარ ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში შეადგენს დაახლოებით 35.5%, აქედან სახელმწიფო საგარეო ვალი დაახლოებით 26.8%, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი დაახლოებით 8.7%.

სახელმწიფო ვალი 2014 წლის ბოლოსთვის

ათასი ლარი

	კრედიტორი	ნაშთი 31.12.2014 ათას ლარებში
სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო კრედიტები		**7,826,743**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან		**5,428,611**
1	მსოფლიო ბანკი (WB)	3,300,669
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	55,731
3	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	315,428
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	179,005
5	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,126,941
6	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	450,837
ორმხრივი კრედიტორებისაგან		**1,382,220**
1	ავსტრია	24,763
2	აზერბაიჯანი	21,454
3	თურქმენეთი	393
4	თურქეთი	41,043
5	ირანი	16,707
6	რუსეთი	175,051
7	სომხეთი	25,162
8	უზბეკეთი	502
9	უკრაინა	458
10	ყაზახეთი	51,760
11	ჩინეთი	7,213
12	გერმანია	551,908
13	იაპონია	259,834
14	კუვეიტი	34,553
15	ნიდერლანდები	2,975
16	ამერიკა	53,930
17	საფრანგეთი	114,513
სხვა საგარეო ვალდებულებები		**931,800**
1	ევრობონდები	931,800
სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები		**4,732**
1	გერმანია	4,732
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)		**79,380**
საშინაო ვალი		**2,547,914**
1	ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	440,846
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	132,000
3	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	372,094
4	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	930,649
5	ისტორიული ვალი	672,325
სულ სახელმწიფო ვალი		**10,374,657**

შენიშვნა:

ცხრილში გამოყენებულია სავალუტო კურსები მოცემული თარიღისათვის

ინფორმაცია 2014 წელს საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები საგარეო კრედიტების თაობაზე

საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები საგარეო კრედიტები შეადგენდა 436 მლნ ლარს, მათ შორის 136 მლნ ლარი მსოფლიო ბანკის სესხი ბიუჯეტის მხარდაჭერისათვის, ხოლო 300 მლნ ლარი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სახსრები. ფაქტიურად წლის განმავლობაში ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხების სახით მიღებულია 515 148.0 ათასი ლარი, დამტკიცებული გეგმის 118.15%. გეგმის გადაჭარბება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაბამის დონორებთან ხელშეკრულებები ხელმოწერილი არ იყო და ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მოლაპარაკების პროცესი.

- მსოფლიო ბანკიდან ნაცვლად დაგეგმილი 80 მლნ აშშ დოლარისა მივიღეთ 92 250.0 ათასი აშშ დოლარი.
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მისაღები 300 მლნ ლარის ნაცვლად მივიღეთ 355 306.32 ათასი ლარი, კერძოდ:
  - აზიის განვითარების ბანკიდან მივიღეთ 73 496.63 ათასი აშშ დოლარი, რამაც 140 481.5 ათსი ლარი შეადგინა;
  - საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან 2014 წელს მივიღეთ 80 მლნ SDR-ის ეკვივალენტი დოლარი, რამაც ჯამურად 214.8 მლნ ლარი შეადგინა;

ჩამორიცხულ თანხებზე ასევე გავლენა მოახდინა გაცვლით კურსის ცვლილებით მიღებულმა სხვაობამ.

ინფორმაცია 2014 წელს საგარეო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული სახსრების შესახებ

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისათვის (ორგანიზაციული კოდი 53 01) გათვალისწინებული იყო 720.0 მლნ ლარი, მათ შორის 191.0 მლნ ლარი პროცენტის მომსახურებისათვის, ხოლო 529 მლნ ლარი ვალდებულებების კლების მუხლით ძირის დაფარვისათვის. ამ მუხლით წლის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული ხარჯი შეადგენს 638 953.1 ათას ლარს, მათ შორის პროცენტი - 139 483.4 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების კლება 499 469.7 ათასი ლარი. სხვაობა დამტკიცებულ გეგმასა და ფაქტს შორის შეადგენს 81 046.9 ათას ლარს, მათ შორის პროცენტი - 51 516.6 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების კლება 29 530.3 ათასი ლარი. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- **ვალდებულებების კლება**
  - ყაზახეთის მიმართ არსებული კრედიტისათვის გათვალისწინებული იყო 16 257.6 ათასი ლარი, თუმცა ვინაიდან ყაზახეთის ვალის მომსახურება შეჩერებულია იმ ფაქტის გამო, რომ ყაზახეთთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ვალის რესტრუქტურიზაციაზე პარიზის კლუბის ვერც 2001 და ვერც 2004 წლის ოქმის პირობებით და კვლავაც გრძელდება მოლაპარაკებები ამ საკითხზე აღნიშნული რესურსის ათვისება არ მომხდარა;
  - იაპონიის კრედიტისათვის JPY/USD ბიუჯეტის მიზნებისათვის გამოყენებული იყო კურსი 0.017, რეალურად საშუალოდ კურსმა შეადგინა 0.00941, რის გამოც საკურსო სხვაობამ წლის განმავლობაში შეადგინა 3 044.6 ათასი ლარი;

- EBRD- ენერგეტიკის სესხზე მოხდა ცვლილებები: 80 მილიონიანი სესხიდან 22 მლნ გადავიდა სხვა სესხის ფარგლებში, 1 მლნ კი საერთოდ ჩამოიწერა. შესაბამისად გადასახდელი გახდა 4.8 მლნ ევრო ნაცვლად 6.67 მლნ ევროსა), EUR/USD -1.45. ამის გამო ამ მუხლში სხვაობამ შეადგინა 7 007.41 ათასი ლარი;
- IMF-ის მიმართ არსებული ვალდებულებების ნაწილში დაგეგმვისას SDR/USD გაცვლითი კურსი გამოყენებული იყო 1.6, რეალურად საშუალო კურსი იყო 1.5. შესაბამისად საკურსო სხვაობამ წლის განმავლობაში შეადგინა 2 233.3 ათასი ლარი;

- **პროცენტი**
  - ყაზახეთის მიმართ არსებული ვალის მომსახურებისათვის გათვალისწინებული იყო 17 783.0 ათასი ლარი. თუმცა ვინაიდან ყაზახეთის ვალის მომსახურება შეჩერებულია იმ ფაქტის გამო, რომ ყაზახეთთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ვალის რესტრუქტურიზაციაზე პარიზის კლუბის ვერც 2001 და ვერც 2004 წლის ოქმის პირობებით და კვლავაც გრძელდება მოლაპარაკებები ამ საკითხზე აღნიშნული რესურსის ათვისება არ მომხდარა;
  - თურქმენეთის მიმართ არსებული ვალის მომსახურებისათვის გათვალისწინებული იყო 14 917.5 ათასი ლარი, თუმცა თურქმენეთის ვალის მომსახურება შეჩერებულია მხარეებს შორის დავალიანების მოცულობის ოდენობაზე შეუთანხმლებლობიდან გამომდინარე.
  - საფრანგეთის მიმართ არსებულ ვალდებულებისათივს EURIBOR განაკვეთი გამოყენებული იყო 1-1.1%, რეალურად საშუალო წლიურმა განაკვეთმა შეადგინა 0.308%, რის გამოც სხვაობამ შეადგინა 569.25 ათასი ლარი;
  - იაპონიის კრედიტის მომსახურებისათვის გაცვლითი კურსი JPY/USD დაგეგმვის ეტაპზე გამოყენებული იყო 0.017, რეალურად საშუალოდ კურსი იყო 0.00941. საკურსო სხვაობამ წლის განმავლობაში შეადგინა 869.42 ათასი ლარი;
  - მრავალმხრივი კრედიტორების შემთხვევაში ჯამური სხვაობა გეგმასა და ფაქტს შორის შეადგენს 19 804.69 ათას ლარს, რაც ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: LIBOR განაკვეთი დაგეგმვისას გამოყენებული იყო 1.05%, რეალურად საშუალო წლიური განაკვეთი დაფიქსირდა 0.329% (ADB დამატებით გათვალისწინებული აქვს Rebate %); სავალუტო კურსები USD-თან მიმართებაში (SDR, EUR) დაგეგმვისას უფრო მაღალი იყო გამოყენებული ვიდრე რელურად დადგინდა; SDR Interest განაკვეთი დაგეგმვისას გამოყენებული იყო 1.51%, რეალურად საშუალო განაკვეთმა შეადგინა 1.07%;
  - EBRD-ს ენერგეტიკის სესხზე მოხდა ცვლილებები: 80 მილიონიანი სესხიდან 22 მლნ გადავიდა სხვა სესხის ფარგლებში, 1 მლნ კი საერთოდ ჩამოიწერა. ამ ცვლილებამ EBRD-ის მიმართ არსებული ვალდებულებების მომსახურების ნაწილში გამოიწვია სხვაობა 2 731.76 ათასი ლარი.